ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Youth

CENN
Shaping the Future by Changing Today

კავკასიის სოციალური ინოვაციების კონკურსის

საგრანტო სახელმძღვანელო (საქართველო)

ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის - საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება მწვანე ზრდისთვის (EU4Youth – SEED)

დოკუმენტი მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ. დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, განახლდება, მთლიანად ან ნაწილობრივ

2021 წელი

Green lane

KRDF
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

სარჩევი

1. პროექტის შესახებ 3
2. საგრანტო კონკურსის შესახებ 4
3. კონკურსში მონაწილეობა 5
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა 6
5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება 8
6. სრული საპროექტო განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შეფასების და შერჩევის პროცესი 14
7. განცხადებებისა და საჩივრების კომისია 15
8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები 15
9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება 16

1. პროექტის შესახებ

დონორის საიდენტიფიკაციო ნომერი:	ENI/2019/412-395
სამიზნე ტერიტორია:	საქართველოს 3 მუნიციპალიტეტი: (1) გორის (შიდა ქართლი), (2) ნინოწმინდისა (სამცხე-ჯავახეთი) და (3) ახმეტის მუნიციპალიტეტები (კახეთი)
დაფინანსების წყარო:	ევროკავშირი
პროექტის ხანგრძლივობა:	19 დეკემბერი, 2019 - 19 ოქტომბერი, 2022

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთში ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა შესაძლებლობების გაძლიერების, სუბ-ეროვნულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წახალისებისა და სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის საშუალებებისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემების, შექმნის გზით.

პროექტს ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად:

- Green Lane (სომხეთი) და
- კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (KRDF).

პროექტის სამიზნე ჯგუფები

პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების (საქართველო: გორი, ნინოწმინდა და ახმეტა; სომხეთი: ლორი, ტავუში და შირაკი) -

- ახალგაზრდები (15-29 წლის);
- ე.წ. NEETs - ახალგაზრდები განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების გარეშე;
- ქალები და გოგონები;
- იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები, სოციალური საწარმოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- მოწყვლადი ჯგუფები: შშმ პირები;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება (სომხეთი/საქართველო).

2. საგრანტო კონკურსის შესახებ

სოციალური ინოვაციების კონკურსების **მიზანია** ისეთი გამორჩეული პროექტების გამოვლენა და დაფინანსება, რომლებიც ავითარებენ და წარმოაჩენენ სოციალურ ინოვაციებსა და სამეწარმეო იდეებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბით. კონკურსის მიზანია, ახალგაზრდების, შშმ პირების, საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების, გოგონების, ეკომიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების გაძლიერება.

ფინანსური დახმარების **მოსალოდნელი შედეგებია** სოციალური, ახალგაზრდების დასაქმებისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა და ამ გამოწვევების გარდაქმნა მწვანე ინოვაციებისა და ინკლუზიური ზრდის შესაძლებლობებად მოქნილი პროექტების საშუალებით.

ფინანსური მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ მუნიციპალური და რეგიონული მასშტაბის ისეთ პროექტებს, რომლებიც აუმჯობესებენ ახალგაზრდების დასაქმების დონეს, სამუშაო ადგილების ხარისხს და შრომის ბაზრის ინკლუზიურობას, ასევე ქმნის ხელსაყრელ პირობებს გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად. საგრანტო კონკურსის თემატური მიმართულებებია:

1. სოციალური ინტეგრაცია
2. ჯანმრთელობის დაცვა
3. მიგრაცია
4. რეგიონული სტრატეგიები - ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ცხოვრების დონის გაუმჯობესება
5. ცირკულარული ეკონომიკა/ნარჩენების მდგრადი მართვა
6. კლიმატგონივრული გადაწყვეტები (climate-smart solutions)
7. მწვანე ქალაქები და ტრანსპორტი
8. რესურსების მდგრადი მართვა
9. ტურიზმი

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

1. საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეებს 18-დან 29 წლამდე
2. საქართველოში რეგისტრირებულ იურიუდიულ პირებს
3. რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო კოოპერატივებს
4. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.)
5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას
6. გორის (შიდა ქართლი), ნინოწმინდისა (სამცხე-ჯავახეთი) და ახმეტის (კახეთი) მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს
7. გორის (შიდა ქართლი), ნინოწმინდისა (სამცხე-ჯავახეთი) და ახმეტის (კახეთი) კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს
8. საინიციატივო ჯგუფებს
9. ინდივიდუალურ მეწარმეებს
10. საგანმანათლებლო დაწესებულებებს - უმაღლეს და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებს

აუცილებელია, რომ გრანტის მიმღები მდებარეობდეს და/ან თავის საქმიანობას ახორციელებდეს გორის (შიდა ქართლი), ნინოწმინდისა (სამცხე-ჯავახეთი) და ახმეტის (კახეთი) მუნიციპალიტეტებში.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

1. პოლიტიკურ პარტიებს
2. რელიგიურ ორგანიზაციებს
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, ლომბარდი და ა.შ.)
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯუფებს და ა.შ., რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურსში მონაწილეობა არ განიხილება აპლიკანტებისათვის, რომლებსაც:

1. შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება დატვირთულია იპოთეკით, გირავნობით, ყადაღით

2. გრანტით განსახორციელებელი ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) არ არის აპლიკანტის საკუთრებაში ან არ სარგებლობს გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით აღნიშნულ ობიექტზე (მინიმუმ, 10 წელი)

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

გრანტის მოცულობა განისაზღვრება სტარტაპებისთვის (დამწყები მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება) და ასევე, საწარმოებისთვის, ბიზნესებისთვის, რომლებიც მინიმუმ 2 წლის მანძილზე ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას. მოთხოვნილი თანხის მინიმალური ოდენობა შეადგენს 3,000 ევროს ეკვივალენტს ლარში, ხოლო მაქსიმალური ოდენობა, 10,000 ევროს ეკვივალენტს ლარში. კონკურსში მონაწილეს მოეთხოვება მინიმუმ 18% იანი თანხობრივი თანამონაწილეობა. საგრანტო კონკურსით გათვალისწინებულია მაქსიმუმ 6 პროექტის დაფინანსება.

განმცხადებელმა საპროექტო განაცხადთან ერთად პროექტში მითითებული ობიექტისათვის დანართის სახით უნდა წარმოადგინოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დოკუმენტი ან გრძელვადიანი იჯარის (მინიმუმ, 10 წელი) ხელშეკრულება.

თუ რეგისტრაციის დოკუმენტის/იჯარის ხელშეკრულების წარმოდგენა საპროექტო იდეებისა და განაცხადების მიღების ეტაპზე ვერ ხერხდება, მაშინ, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინოს კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

თანადაფინანსება

თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა. ბენეფიციარმა უნდა გახსნას ცალკე საბანკო ანგარიში საგრანტო პროექტის განხორციელებისათვის. პროექტის განხორციელების პროცესში ნებისმიერი თანხის გადახდა აუცილებლად უნდა მოხდეს საბანკო გადარიცხვის საშუალებით, რომელიც განხორციელდება ბენეფიციარის მიერ შექმნილი ზემოხსენებული ანგარიშიდან. გამარჯვებული საგრანტო პროექტების განხორციელების ეტაპზე, გრანტის ბენეფიციარებმა შესყიდვები უნდა განახორციელონ ევროკავშირისა და CENN-ის შესყიდვების რეგულაციების დაცვით.

ხარჯები, რომლებიც არ დაფინანსდება საგრანტო რესურსით

საგრანტო რესურსით არ დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. ხელფასები
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შეძენა
3. უძრავი ქონების შეძენა
4. ავტომობილის, მიკროავტობუსის, ავტობუსის და სხვ. (გარდა სპეციფიური სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც არის გარემოსთან მეგობრული და ინოვაციური კონკრეტული პროექტის კონტექსტში) შეძენა
5. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა
6. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს
7. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები
8. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები

9. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა

10. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები

11. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები

12. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად

13. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები

14. სადაზღვევო ხარჯები

15. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები

5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასებაა

კონკურსი შედგება 6 ეტაპისგან:

1. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენა (სავალდებულო)

2. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის შეფასება

3. შერჩეული საგრანტო იდეებისთვის აქსელერაციის პროგრამა - „გრინკუბატორი“ (ნებაყოფლობითი)

4. სრული განაცხადის წარდგენა (სავალდებულო)

5. სრულის საგრანტო განცხადებების შეფასება ჟიურის მიერ და გასაუბრება

6. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5.1. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენა

განმცხადებელმა, საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენისას უნდა გამოგზავნოს შევსებული მარტივი ფორმა ელექტრონულად, ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული, შემდეგ ელ.ფოსტაზე - **grants@cenn.org** (ფორმა 1). აღნიშნულ ეტაპზე არ არის აუცილებელი სრული საპროექტო განაცხადის შექმნა. სრულყოფილად შევსებული პირველადი განაცხადის ავტორები შეძლებენ შემდგომ ეტაპზე გადასვლას (პირველადი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები იხ. 5.2 თავში).

აპლიკანტები, რომლებიც პირველ ეტაპზე წარმოადგენენ სრულ საპროექტო განაცხადს, სურვილის შემთხვევაში, შეძლებენ ჩაერთონ „გრინკუბატორის“ პროგრამაში.

I საგრანტო კონკურსის დეტალები:

- საგრანტო კონკურსის დაწყების თარიღია 5 მაისი
- პირველადი განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 5 ივნისი
- სრული საპროექტო განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 30 ივნისი. საგრანტო კონკურსის ვადების გახანგრძლივების შემთხვევაში, კონკურსანტებს ეცნობებათ წინასწარ; სრული საპროექტო განაცხადი პირველადი განაცხადისგან განსხვავებით მოიცავს მოგება-ზარალის უწყისსა და შესყიდვების გეგმის დოკუმენტებს
- პირველადი და სრული განაცხადების ფორმები განთავსებულია **CENN-ის ცოდნის პორტალზე**

ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული საპროექტო იდეები არ მიიღება.

[1] ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად, შესაძლოა, პირისპირ შეხვედრებმა გადაინაცვლოს ონლაინ პლატფორმებზე, რის შესახებაც, დაინტერესებულ აპლიკანტებს ეცნობებათ წინასწარ.

5.2. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის შეფასება

ჟიური შეაფასებს პირველად საგრანტო განცხადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1. იდეის/პრობლემის აქტუალურობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან შეფასდება თუ რამდენად აქტუალურია იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისათვის და რამდენად არის იგი თანხვედრაში კონკურსის მიზანთან, კერძოდ - რამდენად უწყობს იდეა/საგრანტო განაცხადი ხელს ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმებას მწვანე სოციალური მეწარმეობის გზით, მათ შორის, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას;	**30 ქულა**
2. იდეის შესაბამისობა პროექტის პრიორიტეტებთან საგრანტო განაცხადში აღწერილი იდეა უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას (იხ. თავი 2);	**30 ქულა**
3. პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა პროექტის ბიუჯეტი უნდა იყოს გონივრული და ასახავდეს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას; მოთხოვნილი ბიუჯეტი არ უნდა შეიცავდეს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4.2); ასევე, მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს;	**10 ქულა**
4. პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა გეგმაში მოცემული აქტივობები შეფასდება გონივრულობისა და დროითი ჩარჩოს მიხედვით (საგრანტო განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს);	**10 ქულა**
5. ცოდნა და გამოცდილება შეფასდება განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;	**10 ქულა**
6. გამოკვეთილი სოციალური მისია განაცხადში გამოკვეთილია საწარმოს სოციალური მისია; სოციალურ საწარმოს უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი სოციალური/ გარემოსდაცვითი მისია, რომლის მისაღწევად მეწარმე გამოყოფს შემოსავლის გარკვეულ ნაწილს; შეფასდება განმცხადებლის ინოვაციური ხედვა სოციალური/ გარემოსდაცვითი პრობლემის მოსაგვარებლად;	**10 ქულა**
ჯამი	**100 ქულა**

„გრინკუბატორის“ ეტაპზე გადავა იდეები, რომლებიც დააგროვებენ მინიმუმ 70 ქულას.

ბიზნესის იდეის პირველადი განაცხადისას წარმოსადგენი დოკუმენტებისა და დანართების ჩამონათვალი მოცემულია დანართი 5 - საპროექტო განაცხადების ჩამონათვალში.

5.3. შერჩეული საგრანტო იდეებისთვის აქსელერაციის პროგრამა - „გრინკუბატორი“

მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, შერჩეული კანდიდატები გაივლიან აქსელერაციის პროგრამას - „გრინკუბატორს“, რომელში მონაწილეობაც ნებაყოფლობითია. აღნიშნული ინტენსიური პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი მენტორების დახმარებით, აპლიკანტები შეძლებენ, გააუმჯობესონ ბიზნეს იდეები და მოემზადონ სრულყოფილი აპლიკაციის წარმოსადგენად. მენტორები „გრინკუბატორის“ ფარგლებში უზრუნველყოფენ, როგორც ბიზნეს იდეის დახვეწას მწვანე და სოციალური მიმართულებით, ასევე, ფინანსური/ ბიუჯეტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ რჩევებისა და გამოცდილების გაზიარებას.

5.4. სრული განაცხადის წარდგენა

„გრინკუბატორის“ შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ გონივრული ვადა პროექტის სრულყოფილი განაცხადების წარმოსადგენად. სრულყოფილი განაცხადების მიღების დეტალები, მონაწილეებს ეცნობებათ „გრინკუბატორის“ დასრულებისას, პირდაპირი კომუნიკაციის გზით.

საგრანტო კონკურსის დეტალები:

- სრული განაცხადების ფორმები განთავსდება **CENN-ის ცოდნის პორტალზე**
- სრული საპროექტო განაცხადების მიღების ვადაა: 30 ივნისი
- სრული საპროექტო განაცხადების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **grants@cenn.org**

სრული საპროექტო განაცხადების ონლაინ წარმოდგენისას, გთხოვთ. მეილის სათაურის ველში მიუთითოთ შემდეგი: “EU4Youth/SEED - საგრანტო კონკურსი“.

სრული განაცხადების განხილვის პროცესში, ჩაერთვებიან ჟიურის წევრები, სოციალური მეწარმეობის სფეროში გამოცდილი ექსპერტები, ბიზნესისა და CENN-ის წარმომადგენლები. მიღებული საგრანტო განაცხადების სრულყოფილი შეფასების მიზნით, ჟიურის წევრები შერჩეული იდეებისთვის, განახორციელებენ ადგილზე მონიტორინგს. ბიზნეს იდეები/ პროექტები ჟიურის მიერ შეფასდება წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

განაცხადისთვის საჭირო ფომების სრული ჩამონათვალისთვის იხილეთ დანართი 1 - პირველადი და საბოლოო განაცხადების ეტაპებზე წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.

განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული ელ. ფოსტაზე - **grants@cenn.org**

განაცხადის წარდგენისას აუცილებელია განმცხადებელმა ელ-ფოსტის თემის ველში მიუთითოს "EU4Youth/SEED - საგრანტო კონკურსი". განმცხადებელი ელ-ფოსტაზე მიიღებს განაცხადის მიღების დასტურს. განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი საფოსტო გზავნილით. ერთი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე გზავნილით ან/და არასრულადაა წარმოდგენილი, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.

5.5. სრული საგრანტო განცხადებების შეფასება ჟიურის მიერ

ჟიური შეაფასებს სრულ საგრანტო განცხადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1. იდეის/პრობლემის აქტუალურობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან შეფასდება თუ რამდენად აქტუალურია იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისათვის და რამდენად არის იგი თანხვედრაში კონკურსის მიზანთან, კერძოდ - რამდენად უწყობს იდეა/საგრანტო განაცხადი ხელს ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმებას მწვანე სოციალური მეწარმეობის გზით, მათ შორის, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას;	**20 ქულა**
2. იდეის შესაბამისობა პროექტის პრიორიტეტებთან და სოციალური/გარემოსდაცვითი მისია საგრანტო განაცხადში აღწერილი იდეა უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას და უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული სოციალური და/ან გარემოსდაცვითი მისია (იხ. თავი 2); ასევე, საგრანტო განცხადებაში მითითებულ ბიზნესმოდელს აქვს გამოკვეთილი დადებითი შედეგი გარემოზე; (ბიზნესმოდელი ხელს უწყობს ისეთი მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას);	**20 ქულა**
3. პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა პროექტის ბიუჯეტი უნდა იყოს გონივრული და ასახავდეს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას; მოთხოვნილი ბიუჯეტი არ უნდა შეიცავდეს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4.2); ასევე, მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს; პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ 18%-იან თანამონაწილეობას;	**20 ქულა**
4. პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა გეგმაში მოცემული აქტივობები შეფასდება გონივრულობისა და დროითი ჩარჩოს მიხედვით (საგრანტო განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს);	**15 ქულა**

5. ცოდნა და გამოცდილება შეფასდება განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;	**10 ქულა**
6. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები შეფასდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზი;	**5 ქულა**
7. პროექტის მდგრადობა შეფასდება განმცხადებლის ინოვაციური ხედვა სოციალური/ გარემოსდაცვითი პრობლემის მოსაგვარებლად;	**5 ქულა**
8. გამოკვეთილი სოციალური მისია განაცხადში გამოკვეთილია საწარმოს სოციალური მისია სოციალურ საწარმოს უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი სოციალური/ გარემოსდაცვითი მისია, რომლის მისაღწევად მეწარმე გამოყოფს შემოსავლის გარკვეულ ნაწილს	**5 ქულა**
9. იდეის ავტორი - სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა საგრანტო იდეა ეკუთვნის სამიზნე მუნიციპალიტეტის სოფლების წარმომადგენელ ახალგაზრდასა ან ახალგაზრდების ჯგუფს 18-დან 29 წლამდე	**5 ქულა**
ჯამი	**105 ქულა**

საგრანტო განაცხადების შეფასების პროცესში აპლიკანტებს დამატებითი ქულები მიენიჭება შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

დამატებითი შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**
1. პროექტის ინოვაციურობა შეფასდება განმცხადებლის ინოვაციური ხედვა სოციალური/ გარემოსდაცვითი პრობლემის მოსაგვარებლად **ინოვაციის განმარტება:** „ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება“ (საქ. კანონი)	**5 ქულა**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული პროექტები შეფასდება კომისიის წევრების მიერ ქულებით. კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას. მინიმალური გამსვლელი ქულა არის 70. შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ.

5.6. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

გამარჯვებულ პროექტებთან, ყველა ეტაპის გავლის შემდგომ და ასევე, საწარმოს ლოკაციაზე ვიზიტის შემდგომ, გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

6. სრული საპროექტო განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შეფასების და შერჩევის პროცესი

განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას, შერჩევასა და შეფასებას ახდენს საგრანტო კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება CENN-ის მიერ მოწვეული ექსპერტებითა და პროფესიონალებით.

ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება

საგრანტო განაცხადი, მისი შერჩევისა და შეფასების პროცესის დაწყებამდე გაივლის ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.). ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომისია განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

შეფასება-შერჩევის პროცესი

საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადის დასრულების შემდეგ, საგრანტო კომისია შეფასებს სრულ საგრანტო განცხადებებს 5.6 ქვეთავში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით.

სხვა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები

კომერციული პროექტის განმცხადებელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი, სტარტაპი, თუმცა, პროექტის განხორციელებაზე კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელს მოეთხოვება იურიდიული ერთეულის დაფუძნება.

პოტენციურმა ბენეფიციარებმა, თუ მათ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, უნდა გაითვალისწინონ, რომ გრანტის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან გადაიხედოს აღნიშნული სტატუსის კვლავ მინიჭების საკითხი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ. განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია, განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება. აღნიშნულ პროცესს კომისია ახორციელებს პროექტის მენეჯერის, გუნდის მეშვეობით.

კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას. პირველადი იდეების წარმოდგენისას მინიმალური გამსვლელი ქულა არის 70, ხოლო სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისას - 75 ქულა.

სრული საპროექტო განაცხადისას წარმოსადგენი დოკუმენტებისა და დანართების ჩამონათვალი მოცემულია დანართი 5 - საპროექტო განაცხადების ჩამონათვალში.

7. განცხადებებისა და საჩივრების კომისია

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადებების და საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნება განცხადებებისა და საჩივრების კომისია. განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის წერილობით აცნობებს პროექტის გუნდს (CENN-ის ცენტრალური ოფისი, ბეთლემის ქ. #27). CENN უზრუნველყოფს განცხადებებისა და საჩივრების კომისიის დაკომპლექტებას ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით და უზრუნველყოფს მოსაჩივრეს პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაციით.

8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება CENN-ის პასუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტები სრულწესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე. გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განმცხადებელი და/ან მესამე პირი თანამონაწილეობით განსაზღვრულ თანხას - თანადაფინანსებას გადარიცხავს საგრანტო პროექტისათვის შექმნილ საბანკო ანგარიშზე, როგორც აღწერილია თანადაფინანსების განხილვაში ზემოთ, ამ თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებული იქნება განმცხადებლის ბიუჯეტში ჩამოთვლილი ნივთების შესასყიდად და/ან მომსახურების გასაწევად.

ყველა შესყიდვა განხორციელდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული პროექტის ფინანსურ გუნდთან. შეძენილი აქტივები კუთვნილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებაში.

9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. პირდაპირი ბენეფიციარები უნდა შეესაბამებოდნენ ევროკავშირის, ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის (EU4Youth) მიზნებსა და პრიორიტეტებს და მათ უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობა გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელმოწერის დღიდან მომდევნო სამი (3) წლის განმავლობაში, CENN-ს თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

დანართი 1 - პირველადი და საბოლოო განაცხადების ეტაპებზე წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

#	წარმოსადგენი დოკუმენტ(ებ)ი	განაცხადის ეტაპი
1	ფორმა 1: შევსებული საპროექტო განაცხადი (Word)	ორივე ეტაპზე
2	ფორმა 2: შევსებული პირველადი ბიუჯეტი (Excel)	პირველ ეტაპზე
3	ფორმა 3: შევსებული სამოქმედო გეგმა (Excel)	ორივე ეტაპზე
4	ფორმა 4: შევსებული საინვესტიციო გეგმა (Excel)	მეორე ეტაპზე
5	ფორმა 5: შევსებული მოგება-ზარალის უწყისი (Excel)	მეორე ეტაპზე
6	ფორმა 6: შევსებული შესყიდვების გეგმა (Word)	მეორე ეტაპზე
7	განმცხადებლის CV	პირველ ეტაპზე
8	იურიდიული პირებისთვის, ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან	ორივე ეტაპზე
9	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მიზნით	ორივე ეტაპზე
10	გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება (მინიმუმ 10-წლიანი) (ასეთის საჭიროებისა და არსებობის შემთხვევაში)	ორივე ეტაპზე
11	სხვა დანართები (ფოტო-მასალა, ინვოისები და ა.შ.)	ორივე ეტაპზე

CENN, 2021